

ჰიდროელექტროსადგურებიდან ენერჯის მიღება მოძველებული მიდგომაა

ekofact.com/2018/05/03/ჰიდროელექტროსადგურებიდან

ekofact

2018 M05 3

მარიამ ქავთარაძე

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში კი სულ უფრო მეტს მსჯელობენ იმ საკითხზე თუ რამდენად საჭიროა საქართველოში დიდი თუ მცირე ჰესების აშენება, მათ შორის ისეთების როგორიცაა: ხუდონ ჰესი ან ნენსკრა. ამ იდეას თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეებიც ყავს, შესაბამისად იმისა თუ რა სიკეთეს ან უარყოფით შედეგს გულისხმობს ამა თუ იმ ჰესის აშენება.



ბევრ დაობენ და ამ კითხვებზე პასუხს ეძებენ – შესაძლებელია თუ არა საქართველოს ენერჯო დამოუკიდებლობა? არის თუ არა ამ პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა ჰესების აშენება? არსებობს თუ არა სხვა გზებიც, რომლის მეშვეობითაც ენერჯო მარაგის შექმნაა შესაძლებელი?

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ძირითადად, პრობლემას უქმნის ადგილობრივ ფლორასა და ფაუნას. რადგან საქართველო მთიანი რეგიონია, ხშირად ამის გამო ვითარდება მენყრული პროცესებიც. ზიანის შემცირების მცდელობის მიუხედავად, ჰესები მაინც ცვლიან ადგილობრივი ბუნების პირობებს. მწვანე ალტერნატივის წარმომადგენელი, დათო ჭიპაშვილი ამბობს, რომ ზოგადად საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ, მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურების აშენებაზე აქცენტის გაკეთება არასწორია. მისი თქმით, აღნიშნული ხელს უშლის ელექტრო-ენერჯოსექტორის დივერსიფიცირებას. ამასთან, თუნდაც ნენსკრაჰესისა და ხუდონჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერჯია მთავრობას ადგილზევე ძალიან ძვირი დაუჯდება, მოსახლეობამდე მისული ფასი კი კიდევ უფრო გაზრდილი იქნება.

„ჩვენი ელექტრო სექტორის 80% არსებულ ჰიდროელექტროსადგურებზეა დამოკიდებული. არსებული პოლიტიკით კიდევ ვზრდით ამ პროცენტს და აქცენტს ვაკეთებთ მხოლოდ ჰიდრორესურსებზე,“ – ამბობს დათო ჭიპაშვილი და გვიხსნის, რომ

ხუდონჰესზე გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მთავრობამ აიღო ვალდებულება, მიუხედავად საჭიროებისა, აღნიშნული ჰესის მიერ მთლიანად გამოიმუშავებული ენერჯია (მილიარდ ნახევარი კვტ.სთ) შეისყიდოს 10,5 ცენტად (1 კვტ.სთ). არაფორმალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით კი განმარტავს, რომ ანალოგიური პირობებია ჩადებული ნენსკრაჰესის მემორანდუმშიც, – „გამოდის, რომ მხოლოდ ხუდონისა და ნენსკრას შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტმა წლიურად უნდა იხადოს 300 მლნ დოლარზე მეტი ელექტროენერჯიაში, მიუხედავად იმისა, ქვეყანას დასჭირდება თუ არა ის. შედარებისთვის: 10,5 ცენტი არის 26-27 თეთრი მაშინ, როდესაც ენგურის ენერჯის 1 კვტ.სთ ადგილზე 1,12

თეთრი ღირს. ანუ ხუდონის ფასი 26-ჯერ ძვირია. ხოლო თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფარავს თანხას იმისთვის, რომ ფასზე ზემოქმედება არ მოხდეს, ბიუჯეტს მოუწევს 300 მლნ დოლარზე მეტის გადახდა მხოლოდ ამ 2 სადგურისთვის”.

ჰესების აშენების მოწინააღმდეგეები ასევე აღნიშნავენ, რომ ჰიდროელექტროსადგურებიდან ენერჯის მიღება საკმაოდ მოძველებული მიდგომაა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მზის პანელების წარმოება გაიზარდა, ფასი დაეცა, გაცილებით ნაკლები ფართობის პანელები მეტ ენერჯიას გამოიმუშავებენ და საქართველოს კლიმატის გათვალისწინებით, ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის მიღება ქარისა და მზის მეშვეობით უკვე საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასად გახდა შესაძლებელი.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ ჰიდროელექტროსადგურების შემდეგი ალტერნატივები არსებობს: ე.წ. ენერგოეფექტურობა – არა მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურის ალტერნატივაა, არამედ მთლიანად ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი საკითხია, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ მოხდეს არსებული ენერგომომხმარების შემცირება ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით, რაც მოგვცემს საშუალებას, რომ ნაკლები ენერჯის მოხმარებით ეკონომიკურ ზრდას შევუწყოთ ხელი. ამის მაგალითია ენერგოეფექტური ნათურები, ბუხრები, გათბობის სისტემები, სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება იმისთვის, რომ მარტივად – ენერჯია დაიზოგოს.

არსებული 65 კაშხლიანი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ამ ეტაპზე მხოლოდ მდინარის მიერ მოტანილი წყლით მუშაობს, ვერ მუშაობს სრულფასოვნად მხოლოდ იმიტომ, რომ რეზერვუარები არის სავსე ნატანით და პრაქტიკულად მათ აღარ შესწევთ უნარი შეიგუბონ წყალი. აუცილებელია, ამ სადგურების სრული რეაბილიტაცია და არა ახალი ჰესების აშენება. აღსანიშნავია, რომ საბოლოო ჯამში, 20-30 წლის შემდეგ ის ახალი სადგურებიც სავსე იქნება ნატანით და ისინიც გასაწმენდი იქნება.

გარემოს დამცველები ამბობენ, რომ საქართველოს თავისუფლად შეუძლია ქარისა და მზის ენერჯის გამოყენება.

ინჟინერიის დოქტორის, ლეონტინა გალდავა თქმით, საქართველოში ჰიდრო, ქარისა და მზის ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურების განვითარების პერსპექტივა საკმაოდ რეალურია. თუმცა, მიიჩნევენ, რომ ქარის ელექტროსადგურებისა და ჰიდროელექტროსადგურების შედარება არარაციონალურია.

„ენერგეტიკის განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობა ქვეყნის ეკონომიკურ სიტუაციას ასახავს, შესაბამისად კი ქვეყნის ეკონომიკის განსავითარებლად საჭიროა ახალი ენერგობიექტების მშენებლობა. 2013 წელს, საქართველოში, ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებულმა ელექტროენერჯის რაოდენობამ შეადგინა 2459,75 კვტ.სთ, გერმანიაში ეს მაჩვენებელი დაფიქსირდა 1968 წელს. ამავე დროს შვეიცარიაში ამ მაჩვენებელმა მიაღწია – 3852,19, დიდ ბრიტანეთში – 3762,59 და ისლანდიაში – 2992,73. დღესდღეობით კი გერმანიის ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერჯის მოხმარების მაჩვენებელი თითქმის 3-ჯერ აღემატება იგივე მაჩვენებელს საქართველოში. საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვებია და ამკარად მიგვანიშნებს, რომ საქართველოში ენერგობიექტების რაოდენობა უნდა გაიზარდოს,“ – ამბობს ლეონტინა გალდავა.

იგი განმარტავს, რომ ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს ქვეყნის ეკონომიკისა და ელექტროენერჯის მოხმარების ურთიერთდამოკიდებულება. შესაბამისად, მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის სჭირდება ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების გაზრდა, ენერგეტიკული სექტორის აქტიური განვითარება:

„ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ქარზე, მზებზე და ჩამონადენზე მომუშავე მცირე ჰიდროელექტროსადგურების ენერჯია ქვეყნის ენერგეტიკულ სტაბილურობას ვერ განაპირობებს, საჭიროა საბაზისო სადგურები ანუ თბოელექტროსადგურები და წყალსაცავიანი ჰესები. გერმანიისგან განსხვავებით, ამ ეტაპზე საქართველოში ჰესების სხვა ენერგობიექტებით ჩანაცვლების საკითხი არ დგას, რადგან ელექტროენერჯის დეფიციტია,“ – ამბობს ლეონტინა გალდავა.

მიუხედავად განახლებადი ენერჯის სხვა წყაროების პოპულარობისა, ჰიდრორესურსები მსოფლიოში გამოყენებადი და განახლებადი ენერჯის პოპულარულ წყაროდ რჩება. 2015 წლის მონაცემებით, ჰიდროელექტროსადგურებმა მსოფლიოში წარმოებული ელექტროენერჯის თითქმის 17 % აწარმოა ანუ განახლებადი წყაროების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის 70 %.

ჩინეთი, მსოფლიოში, ჰიდროელექტრორესურსების მწარმოებელი ლიდერი სახელმწიფოა. ქვეყანაში მსოფლიოში ყველაზე დიდი – 22 500 მეგავატი მოცულობის ჰიდროელექტროსადგური – Three Gorges Dam მსოფლიოში სიგრძით მესამე ადგილზე მყოფ მდინარე იანძიზე ფუნქციონირებს. აღნიშნულ ელექტროსადგურს ქვეყნის ეკონომიკისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ის, წლის განმავლობაში, ჩინეთის ენერგომომარაგებაზე მოთხოვნის ზრდას სრულად ურზუნველყოფს.

თუმცა, ზოგადად ჰესებთან დაკავშირებული შესაძლო რისკების გარდა, ოფიციალური ცნობებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ჰესის კაშხლის გარღვევის შემთხვევაში, დატბორვის ზონაში 360 მილიონი ადამიანი შეიძლება მოჰყვეს.

ჰიდროელექტრორესურსების მწარმოებელთა ხუთეულში შედიან ასევე კანადა, ბრაზილია, აშშ და რუსეთიც.

იმედია, საქართველო, მათ რიგებში არ ჩადგება და ქვეყანა ალტერნატიული ენერჯის წყაროების გამოყენებას უფრო დიდ ყურადღებას დაუთმობს.

ფოტო: ო.ცისკარიშვილის